

საქართველოს კანონი

„საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წელი – 47-48) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ობიექტი, გარდა განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტისა, ვალდებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას მისივე მოთხოვნით წარუდგინოს უსაფრთხოების დეკლარაცია, რომლის ფორმას შეიმუშავენ და წარდგენის წესს ადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტის ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი